



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 7 22 0001584497



09/12/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 22 ნოემბრის N11219/3-81/22 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N1491891; 22.11.2022) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 06 ოქტომბრის N1246572 წერილით თქვენი მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგინეთ ინფორმაცია იმ სკოლების შესახებ, რომლებმაც გახანგრძლივებული სარემონტო სამუშაოების გამო ვერ დაიწყეს სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს, შესაბამისად მოსწავლეების გადანაწილება სხვა სკოლებში არ მომხდარა.

რაც შეეხება თქვენს დაკონკრეტებულ მოთხოვნას, გაცნობებთ შემდეგს:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესება და თანამედროვე სტარდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამისათვის მასშტაბურად განხორციელდა სკოლის შენობების ტექნიკური და აუდიტორული შესწავლა. სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციები ხორციელდება როგორც პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, ასევე მსოფლიო ბანკისა და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ხარდაჭერით.

დღეის მდგომარეობით 47 საჯარო სკოლა გადაყვანილია ალტერნატიულ ფართში და მათთან მიმართებაში მიმდინარეობს მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესები კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული სკოლების 21203 მოსწავლე სწავლას განაგრძობს სხვა სკოლის შენობაში/ალტერნატიულ ფართში.

- სტუმარი სკოლიდან მიმღებ სკოლაში განხორციელდა 111 მოსწავლის მობილობა სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში და მოსწავლეთა რაოდენობა კლასში არ აღემატება კანონით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას.

- სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ალტერნატიული ფართის სახით ირჩევა ახლომდებარე საჯარო სკოლები ან სხვა კერძო თუ სახელმწიფო მფლობელობაში არსებული შენობები. სხვა შენობებში დროებით საჯარო სკოლების განთავსებისას სსიპ

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხდება შენობების მდგრადობის შესწავლა, უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება და ამ რეკომენდაციების შესრულება/შესრულების მონიტორინგის განხორციელება. ამდენად არნიშნულ შემთხვევაში ალტერნატიულ ფართად გამოყენებულია 47 საჯარო სკოლის შენობა, 7 შემთხვევაში - სხვა ალტერნატიული ფართი, რომელიც შემოწმებული სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.

• საჯარო სკოლები საკუთარი სასწავლო პროცესის დილის ცვლაში დასრულების შემდეგ დროებით სარგებლობაში მეორე ცვლაში გადასცემენ ფართებს სარეაბილიტაციო სკოლებს. საჯარო სკოლები გადაწყვეტილებას ათანხმებენ სამეურვეო საბჭოსთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და სკოლებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დამოუკიდებელ ცვლებში ფუნქციონირებენ ერთ შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე. ცვლებს შორის გამოყოფილია დრო შენობის განიავებისა და დალაგებისათვის. თითოეულ სკოლას ყავს დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, მანდატური/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ექიმი/ექთანი, დარაჯი. თითოეულ სკოლას დამოუკიდებლად აქვს წვდომა საჭირო რესურსებზე, ინტერნეტსა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე. სარეაბილიტაციო სკოლების კონტიგენტი სარგებლობს უფასო სატრანსპორტო მომსახურებით.

ამდენად, რეაბილიტაციის პერიოდში საჯარო სკოლების ერთ შენობაში დროებით განთავსების შემთხვევაში, ტარდება ყველა პრევენციული ღონისძიება სასწავლო პროცესის ხარისხისა და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით და გაერთიანების გავლენების კვლევის საჭიროება არ დამდგარა.

• 2022 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით, 9 საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო 2077 სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. აქვე გაცნობებთ, რომ უკვე გამოცხადებულია საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა შესარჩევი კონკურსი.

დანართი: "01" ელექტრონული ფაილი

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
მახარაშვილი თამარ

